პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
ხუთშაბათი
10
ივნისი
№ 135
(16565)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ქუთაისი-საჩხერის, ეფექტიანობის-სუფლდები

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში! ამ დევიზით შრომობს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ ქარხანა „ელექტროავტომატის“ კოლექტივი. აქ ახალ სანამუშო ხაჩვენებელ საამქროში ამწყობ ზეინკლად მუშაობს ქ. ბიტარიშვილი, რომელიც ქარხანაში საუალო ხელოსნ დამთავრების შემდეგ მოვიდა და მალე მოწინავეთა რიგებშიც ჩადგა. იგი აე-2050 ახალი ტიპის ავტომატს ამზადებს. ხურათზე: მოწინავე ამწყობი ზეინკალი ქ. ბიტარიშვილი.

ბ. ბოგოხიას ფოტო.

სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს

ამხანაგებს: ა. ვ. გიტალოვს, მ. ი. კლეპიკოვს, თ. ახუნოვას, ნ. ვ. ბოჩკარიოვს, ვ. მ. ვორონინს, ნ. ვ. პერევერზევას, ბ. ა. პონომარენკოს, კ. ბ. დონენბაევას, ნ. ბ. პრონიუშკინს, ა. ი. ივანეცს, ვ. დ. სავინოვსა და რ. ლ. ვანკოვიჩს!

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდი სურადღებითა და ინტერესით წავიკითხე თქვენი წერილი, რომელშიც გვიზიარებთ აზრს მოსავლის აღების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ ვიმუშაოთ უკეთ მოსავლისათვის ბრძოლის ამ პასუხსაგებ ეტაპზე, წარმატებით შევასრულოთ მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, ბოსტნეულის, კარტოფილის, სხვა სასურსათო, ტექნიკური და საკვები კულტურების წარმოებისა და დამზადების გეგმები და ვალდებულებები.

უწინარეს ყოვლისა მახარებს თქვენი ფართო, სახელმწიფოებრივი მიდგომა სკკპ XXV ყრილობის მიერ წამოყენებული ამოცანების გადაწყვეტისადმი, გულმხურვალე ზრუნვა მოსავლის ბედისათვის. წერილში სავსებით სამართლიანად უსვამთ ხაზს იმ აზრს, რომ ახალი ხუთწლედის პირველ წელს ქვეყნისათვის მეტი და უკეთესი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიცემა — ნიშნავს კარგი საფუძველი ჩავუყაროთ მთელ ხუთწლედს. თქვენი მაღალი ვალდებულებები, რომლებიც, ეჭვი არ არის, შესრულდება, იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ ყრილობის მიერ მიღებული გეგმების განხორციელებისათვის. სოფლის მეურნეობაში კარგი მოსავლის მოწევისა და მისი წარმატებით აღების მთავარი წანამძღვარია სამუშაო დროის უადრი ვიცოდეთ, ყველა ოპერაცია შევასრულოთ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად — აი მიწათმოქმედების მაღალი კულტურის ძირითადი მოთხოვნა.

ქვეყანაში დასრულდა მოსავლისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი — დამთავრდა და არცთუ ისე ცუდად საგაზაფხულო თესვა, მაგრამ სოფლის მექანიზატორებს საზრუნავი არ აკლდებათ. დადგა გადაუდებელი სამუშაოების ახალი ცხარე დრო — ნათესების მოვლა. თქვენ სხვაზე უკეთ იცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დროულად ვიღონოთ ყველაფერი, რომ უხვი მოსავალი მოვიწიოთ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდმნიშვნელოვან უბანზე არიან მშრომელები, რომლებსაც დავალებული აქვთ საკვების დამზადება მეცხოველეობისათვის. მათი ღირსების საქმეა გამოიყენონ საკვები რესურსების დაგროვების ყველა რეზერვი, უზრუნველყონ მეცხოველეობა საკმარ რაოდენობის სრულფასოვანი საკვებით.

და, რა თქმა უნდა, მთლიანად გეთანხმებით, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსავლის აღებისათვის მზადებასა და მის სანიმუშო დამთავრებას. შეიძლება ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ჯერ კიდევ არ ჰქონდეს იმდენი ტექნიკა, რამდენიც სურთ. მაგრამ ასეთ პირობებში მით უმეტეს ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ თვითეული მანქანა მინდორში გამართული, შემოწმებული გავიდეს, გამოვიყენოთ ორ ცვლად, არ მოვაცდინოთ, ხოლო მექანიზატორები, რომლებიც ამ მანქანით მუშაობენ, შრომითი შამაცობის მისაბაძ მაგალითს გვიჩვენებდნენ.

ამ საქმეში დიდი დამრაზმველი როლი უნდა შეასრულოს უდიდესი შრომის ნაყოფიერების მიღწევისათვის, მანქანების ტექნიკური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებისათვის სოფლის მექანიზატორთა შესანიშნავმა მოძრაობამ, რომლის ინიციატორი ბევრი თქვენგანი იყო. ეჭვი არ არის, რომ თქვენს მაგალითსა და ამ პროგრესულ გამოცდილებას ფართოდ დაუჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის ყველა მიწათმოქმედი, ხელს შეუწყობს სოფლის მშრომელთა შორის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას.

საუკეთესო ვადებში და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო მაღალხარისხოვნად განვახორციელოთ — ეს დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა, რომელიც დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას მოითხოვს. დარწმუნებული ვარ, რომ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების, რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას დაუთმობენ თქვენს წერილში გამოთქმულ მეტად საყურადღებო მოსაზრებებს და ყოველ ღონეს იხმარენ, რომ ეს კეთილი რჩევა-დარიგება გულში ჩასწვდეს ყოველ მშრომელს. ხელი შეუწყოს მის დაოსტატებას, მისი პირადი წვლილის შეტანას სოფლის მეურნეობის განვითარების დავალებების წარმატებით შესრულებაში.

სოფლის ყველა მშრომელს, ყველას, ვინც ბევრი ძალ-ღონე და ცოდნა უნდა მოახმაროს მოსავლის მოყვანასა და მოწევას, კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა: დიდ წარმატებებს, ახალ მიღწევებს გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო!

ლ. ბრეჟნევი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე!

ჩვენი სამშობლოს უკიდეგანო სივრცეებზე მეათე ხუთწლედის პირველი წლის მოსავალი მწიფდება. ყოველი ჩვენთანგანისათვის, საბჭოთის ყველა მიწათმოქმედისათვის ეს წელი განსაკუთრებულია. იგი ახალი მოწინავე მიჯნების მიღწევის სტარტია. სკკპ XXV ყრილობამ ამოცანად დაგვისახა სულ ცოტა 35-40 მილიონი ტონით გავადიდოთ მარცვლეულის სამეალო-წლიური მოსავალი, მნიშვნელოვნად გავზარდოთ ტექნიკური, საკვები და ყველა სხვა კულტურის მოსავალი. ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომლებიც მიზნად ისახავს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სოფლის მშრომელთა გარჯის მაღალმა შეფასებამ, რომელიც თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, საანგარიშო მოხსენებაში მიეცით, ახალი ძალები შეგვმატა და შემოქმედებითი შთაგონებით აღგვავსო, ისინი გვავალებს, რომ თავდადებით ვიშრომოთ, რათა ყოველწლიურად მრავლდებოდეს ხალხის დოვლათი, ძლიერდებოდეს ჩვენი სახელმწიფო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილება „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“ ახალი ეტაპია ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, კიდევ უფრო ხელშემწყობ პირობებს უქმნის იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც პარტიამ მეათე ხუთწლედი დაგვისახა.

ყველა საბჭოთა ადამიანს კარგად ესმის: ახალი ხუთწლედის პირველ წელს მტები და უკეთესი ხარისხის პროდუქცია გამოვუშვათ — ნიშნავს კარგი დასაბამი მივცეთ მთელ ხუთწლეულს, წარმატებით შევასრულოთ მისი გეგმები. ჩვენ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა სკკპ ისტორიული XXV ყრილობის დელეგატთა ჯგუფი, რომლებმაც მრავალი წელი შევალიეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, შევიკრებეთ გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ რედაქციაში, რათა ერთმანეთს გავუზიაროთ იმის გამოცდილება, თუ როგორ განვახორციელოთ უკეთ მინდვრის სამუშაოთა მთელი კომპლექსი, რათა უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ჩვენი გეგმები და ვალდებულებები. ჩვენი აზრები იმის შესახებ, თუ როგორ შეასრულოთ ეს პასუხსაგები საქმე, გვინდა გაგიზიაროთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ.

სოფლის მექანიზატორები მუდამ პარტიის მეგზურ წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე იყვნენ. ახლაც, როცა იმ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების დროშის გარშემო დაირაზმნენ, რომელიც ალტაელმა და დონელმა მიწათმოქმედებმა დაიწყეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა რეზერვის მაქსიმალური გამოყენებისათვის, უხვი მოსავლისათვის, ისინი ამ საქმეს მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, გამოცდილებას და ოსტატობას ახმარენ. ყველა რაიონის მიწათმოქმედებმა დაძლიეს დაგვიანებული გაზაფხულის ჰირველულობა და დროზე დაამთავრეს საგაზაფხულო თესვა, სამარკეული ჩაუყარეს მოსავალს. მაგრამ ახლა, როცა თესვა დამთავრდა, ჰირნახულისათვის ბრძოლის არანაკლებ პასუხსაგები პერიოდიც დადგა. რა თქმა უნდა, მიწათმოქმედების რთულ საქმეში ყოველთვის ყველაფერი შეუფერხებლად როდი მიმდინარეობს. ზოგან გვინდა მეტი ტენი იყოს ნიადაგში, სხვა რაიონებში პირიქით — იგი ჭარბად აღმოჩნდა. მომავალშიც ამინდი შეიძლება ისეთი არ დაიჭიროს, როგორსაც ზოგჯერ ვვარაუდობთ. მაგრამ როგორი ამინდიც უნდა იყოს, მოვალენი ვართ კარგი მოსავალი მოვიწიოთ. სწორედ ეს არის ნამდვილი მიწათმოქმედის ოსტატობა. ახლა ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ ყველგან უზრუნველყოთ ნათესების გულმოდგინე მოვლა: შევიტანოთ სასუქები, მოვსპოთ სარეველები, დროზე მოვრწყათ სარწყავი მიწები და განვახორციელოთ სხვა სამუშაოები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსავლის ზრდას.

მეურნეობებში უკვე დაიწყო საკვების დამზადება მეცხოველეობისათვის — მომდინარეობს თიბვა, ინახავენ საადრეო სილოსსა და სენაჟს, ამზადებენ ბალახის ფხვნილს, გრანულირებულ და დაბრიკეტებულ საკვებს. ჩვენ ვცდილობთ გამოვნახოთ და გამოვიყენოთ მთელი რეზერვები, რათა არა მარტო უხვად უზრუნველყოთ პირუტყვი საკვებით, არამედ სამარქაფო მარაგიც შევქმნათ.

ამ დღეებში ჩვენი, ისევე როგორც ყველა სოფლის მექანიზატორის უმნიშვნელოვანესი საზრუნავი ის არის, რომ გულდასმით მოვამზადოთ ტექნიკა და ადამიანები მოსავლის ასაღებად. ეს წარმატების საწინდარია. მეათე ხუთწლედი, რომელსაც ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი ეწოდა, ჩვენ სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს მაღალ მოთხოვნებს გვიყენებს, თვითეულმა სოფლის მშრომელმა სავსებით უნდა შეიგნოს სრული პასუხისმგებლობა ჰირნახულის ბედისათვის.

კომუნისტური პარტია ღღენიადაგ ზრუნავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური განახლებისათვის, თანამედროვე მანქანებით მისი აღჭურვისათვის. მომავალი მკისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოდის ათასობით ახალი მოსავლის ასაღები მანქანა, სატრანსპორტო საშუალებები, იზრდება სათადარიგო ნაწილების გამოშვება და სარემონტო მასალების მიწოდება. კიდევ უფრო მაღლდება მიწათმოქმედთა შრომის ავტორიტეტი, მათი მატერიალური და მორალური დაინტერესება იმით, რომ უკეთ აიღონ მოსავალი.

ყველა ჩვენგანს აერთიანებს მზურვალე მისწრაფება — უკეთ ვიხმაროთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ პროგრესული ტექნოლოგია, ყოველნაირად ავამაღლოთ ჩვენი მუშაობის ხარისხი.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იზრდებოდა და მტკიცდებოდა ნოვატორთა მოძრაობა უმაღლესი შრომის ნაყოფიერების მიღწევისათვის, მანქანების ტექნიკურ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებისათვის. ამ მოძრაობამ, რომელიც ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა უბანი მოიცვა. ამ წლების მანძილზე შეძენილია მინდვრისა და საფუძრმო ტექნიკის დიდმწარმოებლური გამოყენების მნიშვნელოვანი გამოცდილება, ამოქმედებულია დიდი რეზერვები. თუ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ სეზონური ღონეა, მაგალითად, ერთ მარცვლეულის ასაღებ კომბაინზე 2-3 ათას ცენტნერს შეადგენდა, ახლა შრომის კარგი ორგანიზაციის, ორ ცვლად მუშაობის, საამქრო ტექნიკის წყალობით, ამდენ მარცვლეულს ოსტატი კომბაინერები ორ-სამ დღეში იღებენ. ბევრად გაიზარდა მანქანების გამომუშავება ბამბის, შაქრის ჭარხლის, სიმინდის, კარტოფილის მოსავლის აღებისას.

როსტოვის, კიროვოგრადის, ზაპოროჟიეს, ვოლგოგრადის ოლქების, ალტაის, კრასნოდარის მხარეებისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების მხვნელ-მთესველთა გამოცდილებამ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ მინდვრის სამუშაოთა ვადების შემცირებას, აგრეგატების დიდ მწარმოებლობას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, „სოიუზტექნიკის“ აგრეთიანებებს, ავტოსატრანსპორტო საწარმოების, ელევატორებისა და პურის მიმღები პუნქტების ტრაქტორისტები, კომბაინერები, მოფრები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და სამეურნეო ხელმძღვანელები საერთო ძალებით აღწევენ. კომბაინებისა და ავტომობილების, სხვა მოსავლის ასაღები და სატრანსპორტო საშუალებების მწარმოებლობის გადიდების უდიდეს რეზერვებს ჯერ კიდევ სრულად ვერ ვიყენებთ იმის, გამო, რომ შრომა ყველგან კარგად არ არის ორგანიზებული. ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა გამოვიყენოთ უკეთ და

(დასასრული მე-2 გვ.).

ღღიური ნორმა — საამაგად

ქოგულეთი. („კომუნისტი“ კორ.). წლეულს ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი 3.800 ტონა ჩაისათვის იბრძვის. ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენის გამოსწორებისათვის. პლანტაციებში მეჩაიეები მასობრივად გავიდნენ. აქ კარგად იყენებენ 10 ხელით საკრეფ აპარატს. მოწინავეე მეჩაიე ქეთევან გუმაშვილი ამ აპარატით დღეში 80 კილოგრამზე მეტს კრეფს, ზინა ისაკოვას გადაწყვეტილებაა მცირე მექანიზაციით წლეულს მოკრიფოს თორმეტი ტონა ჩაის ფოთოლი.

დაიწყო ჰურეულის მკა

ყვარელი, 9 ივნისი. (საქინფორმის კორ. დ. ბიწაძე). ალაზნის ველის პურის ყანებში კომბაინები აგუგუნდნენ. მარცვლეული და თავთავიანი კულტურების მკას შეუდგნენ ახალსოფლის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მექანიზატორები, რომლის პურის ყანას თითქმის ათას ხუთასი ჰექტარი უჭირავს.

მეათე ხუთწლედის პირველი წლის ალაობის დაწყების საპატიო უფლება მიეცათ საუკეთესო მექანიზატორებს კ. ლდადებულიძეს, ლ. ჯალალოვს, შ. ომიაძეს. ერთ დღეში მათ ქერი 35 ჰექტარზე მომკეს, თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერ მარცვლეულს ანუ 7 ცენტნერით მეტს მოელიან, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს.

მეურნეობანი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ მკას და მარცვლეულის გადაზიდვას. მექანიზატორებმა იკისრეს ვალდებულება, რომ მკა 7-9 სამუშაო დღეში დაამთავრონ.

მკას იწყებს რაიონის ყველა მეურნეობა. მოსავალს ყველგან კარგი პირი უჩანს.

მიწებზე თავთავიანების აღების შემდეგ სანაწვერალო სიმინდს დათესავენ.

პირუტყვს — საკვების წლინახევრის მარაგი!

რესპუბლიკაში საკვების დამზადება 8 ივნისისათვის (ტონობით)

რაიონები	ხანაძი		თივა	
	გეგმა	შესრულება	გეგმა	შესრულება
საგარეჯო	12.850	2.000	9.252	120
გურჯაანი	12.980	14	4.290	40
წითელწყაროო	25.500	8.000	6.020	20
თელავი	3.510	100	976	—
ახმეტა	8.800	2.876	2.046	6
ყვარელი	4.220	70	1.788	—
ლაგოდეხი	7.000	333	1.600	15
გარდაბანი	35.560	9.781	12.736	540
მარნეული	16.200	9.850	7.437	350
გოლნისი	10.150	4.529	3.590	—
წულუკიძე	1.800	160	1.040	—
მაიაკოვსკი	2.000	85	803	—
საჩხერე	1.140	20	1.432	4
აბაშა	3.650	400	1.744	—
ხობი	3.760	3.150	2.964	—
ჩხოროწყუ	1.000	2.768	1.760	—
ლანჩხუთი	3.770	300	5.235	—

მეგობრულ ვითარებაში

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 8 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართეს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ინდირა განდის.

სადილზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. გრომიკო, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, პ. ნ. დემიჩევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

პრემიერ-მინისტრთან ერთად სადილზე იყვნენ საბჭოთა კავშირში ჩამოსული ინდოეთის სახელმწიფო მოღვაწენი.

სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ქალბატონო ინდირა განდი!

პატივცემულო ინდოელო სტუმრებო!

ძვირფასო ამხანაგებო!

მოხარული ვართ საბჭოთა მიწაწყალზე კვლავ მივესალმოთ მეგობარი ინდოეთის პრემიერ-მინისტრსა და მის თანმხლებ პირებს. ეს ვიზიტი, კრემლში დაწყებული საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მოლაპარაკება, დარწმუნებული ვართ ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობას, რომელიც დღენიადაგ მტკიცდება, დიდად ვაფასებთ, მას, მე ვიტყოდი, პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. იგი თანამედროვეობის ორი დიდი ძალის — სოციალიზმის სამყაროსა და ინდოეთის ერთიანობის, ერთგულ მეგობრობისა და ერთიანობის განსახიერებად მოგვაჩნია, რომელმაც თავიდან მოიშორა კოლონიური უღელი და დამოუკიდებელი პროგრესული განვითარების გზას დაადგა.

აი რატომ არის საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის განმტკიცება — როგორც ეს ითქვა სკკპ XXV ყრილობაზე — საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი.

პატივცემულო ქალბატონო პრემიერ-მინისტრო!

დელში ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ არც ისე დიდმა დრომ განვლო. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, პოლიტიკური დრო კალენდრის ფურცლების რიცხვით კი არ იზომება, არამედ მოვლენებით, რომლებიც მას ავსებენ. განვლილი წლები მნიშვნელოვანი მოვლენებით იყო აღსავსე. დიდი პოზიტიური ძვრები მოხდა საერთაშორისო ასპარეზზეც და ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაშიც.

თუ ვილაპარაკებთ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობაზე, იგი, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო განმტკიცდა და ახალი შინაარსით აივსო. გეგმაზომიერად ხორციელდება დელში ჩვენი წინა შეხვედრის დროს მიღწეული დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებები და ხელშეკრულებები. ჩვენი თანამშრომლობის სფეროები მნიშვნელოვნად გაფართოდა, კიდევ უფრო მეიდრო გახდა ჩვენი ხალხების მეგობრობა.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებამ როგორც სიმტკიცის, ისე ეფექტიანობის გამოცდა ჩაბარა. იგი კარგად გამოხატავს ჩვენი ხალხების ძირეულ ინტერესებს, ხელს უწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას აზიაში, და არა მარტო აზიაში.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის პერსპექტივებს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არის მისი შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის ყველა შესაძლებლობა. სწორედ ამაზეა საუბარი ახლანდელ მოლაპარაკებებზეც.

ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენი მთავრობის მეცადინეობას, ინდოეთის მთელი დემოკრატიული და პროგრესული ძალების მეცადინეობას, რომლებიც თანამიმდევრულად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებას.

ამ მიმართულებით ჩვენი მხრივ ყოველ ღონეს ვხმარობდით და კვლავაც ვიხმართ.

თუ თვალს გადავავლებთ უკანასკნელი წლების მანძილზე მსოფლიოში მომხდარ პოლიტიკურ გარდაქმნებს, შეიძლება მშვიდობისმოყვარე ძალების ბევრი წარმატება აღინიშნოს. ჩაქრა ომის მრავალი კერა, რომლებიც საერთაშორისო ვითარებას წამლავდნენ. დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოთაშორის აქტებს მეორე მსოფლიო ომის შედეგად ევროპაში შექმნილი საზღვრების პოლიტიკური და იურიდიული განმტკიცება მოჰყვა. საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ ინერგება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. დაიდო ბევრი შეთანხმება, რომლებიც შემაკავშირებელ გავლენას ახდენენ გამალებულ შეიარაღებაზე. დაიძლა ცივი ომის ისეთი ელემენტი, რომელიც ევროპელ ხალხებს ერთმანეთისადმი ეჭვიანობასა და ურწმუნოებას ინერგავდა. ეს, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს ევროპელ ხალხებს ერთმანეთის ნაკლებ

მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული).

უარყოფს ჩვენს სისტემატურ წინადადებებს გამალებული შეიარაღების რეალური შეზღუდვის შესახებ, ვინ ზრდის სამხედრო ბიუჯეტებს, ვინ აჩქარებს სულ უფრო დამანგრეველ სახეობათა იარაღის შემუშავებას?! ყოველივე ეს კარგად არის ცნობილი.

ჩვენ ნათლად ვხედავთ ამ ნეგატიურ მოვლენებს და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი წინააღმდეგეთ მათ. განვავითაროთ და გავამაგოთ დაძაბულობის შენელება — ამის გვიკარნახებს თანამედროვეობა, ამის მოითხოვს ყველა ხალხი, რომლებიც საარსებოდ არიან დაინტერესებული მტკიცე მშვიდობით. და ის, ვინც ხელს უწყობს დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა კამპანიის, ან ვინც ამა თუ იმ კონიუნქტურული მოსაზრებით მათს ფეხის ხმას აყოლია, მძიმე პასუხისმგებლობას კისრულობს.

მშვიდობის ერთგულება ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე კონკრეტული საქმეებია, ამ მაღალი მიზნისათვის ყოველდღიური მუშაობით განიზომება. XXV ყრილობაზე ჩვენმა პარტიამ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის მკაფიო რეალისტური პროგრამა წამოაყენა. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ მას უკვე ფართოდ დაუჭირა ზხარი მსოფლიო საზოგადოებრიობამ.

პატივცემული ქალბატონო პრემიერ-მინისტრო! არა გვგონია, საპირო იყოს იმის მტკიცება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საყოველთაო მშვიდობისათვის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების მტკიცე დამკვიდრებას აზიაში — კონტინენტზე, სადაც კაცობრიობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს.

ჩვენი აზრით, დაძაბულობის შენელებისაკენ შემობრუნებისათვის „ერთუ ცუდი წინამძღვრები იქმნება. ალარ გრგვინავენ ზარბაზნები ინდოჩინეთში, და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის მშვიდობის ისეთი ძალა, როგორიცაა გაერთიანებული ვიეტნამი. გარკვეული პოზიტიური ძვრები ხდება სამხრეთ აზიაში. ჩვენ კმაყოფილებით შეეხებოთ ინდოეთ-პაკისტანის ამსწორნაფდელი მოლაპარაკების შედეგებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობენ ამ რაიონში ვითარების შემდგომ ნორმალიზაციას.

ამასთანავე გვესმის, რომ აზიაში ჯერ კიდევ საკმაოდ რთული ვითარებაა. თვითონ აზიაში არიან ძალები, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ სახელმწიფოთა უფლებებსა და სუვერენიტეტს და ცდილობენ თავიანთი ბატონობას დუმორჩილონ სხვა ხალხები. ისინი საბოტაჟს უწევენ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს აზიის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას ორმხრივ და კოლექტიურ საფუძველზე. იმპერიალიზმი, რომელმაც პირი შეკრა შინაურ რეაქციასთან, კვლავ ცდილობს კონტინენტის ქვეყნები ერთმანეთს დაუპირისპიროს.

ავიღოთ, მაგალითად, ინდოეთის ოკეანის პრობლემა. როგორც ცნობილია, ზოგიერთი სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ ამ რაიონს დამორეულია, შეიარაღებულ ძალებს ზრდის აქ, ახალ სამხედრო ბაზებს იშენებს. საკითხავია — რისთვის სჩადიან ამას? ყოველივე ეს ოკეანისპირა ქვეყნების საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს. მათ სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ასეთი პოლიტიკა მათს დამოუკიდებლობასა და უშიშროებას საფრთხეს უქმნის. ეს ჩვენც გვაწუხებს.

საბჭოთა კავშირისათვის სრულიადაც არ არის სულ ერთი, იქნება ინდოეთის ოკეანე მშვიდობის ზონა თუ აქ დარჩება ძველი და აშენდება ახალი უცხოეთის სამხედრო ბაზები. ჩვენი პოზიცია ნათელია. ჩვენ მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ საბჭოთა კავშირს არა ჰქონია და არცა აქვს განზრახვა აიშენოს სამხედრო ბაზები ინდოეთის ოკეანეში. ივნივე მოგუფოდეთ შეეროვებულ შტატებს და მათგან ზუსტ პასუხს ველით.

საბჭოთა კავშირი აპირებს კვლავაც აქტიური მონაწილეობა მიიღოს აზიის კონტინენტის მომწიფებული პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებაში. ჩვენ მხარს დაუჭერთ ყოველ წინადადებას, რომელიც აზიის მშვიდობისა და უშიშროებისათვის ზრუნვით, კერძოდ, აზიის სახელმწიფოთა ერთობლივი ეფექტურობიერ. სწორედ ასეთი კურსის მეოხებით გადაიქცა ინდოეთი ძლიერ სახელმწიფოდ, რომელიც აზიის მშვიდობისა და უშიშროებისათვის ზრუნვით, კერძოდ, აზიის სახელმწიფოთა ერთობლივი ეფექტურობიერ. ამ ეფექტურობიერ ეფექტურობიერ ეფექტურობიერ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის შესახებ

სასადილო საწარმოს მნიშვნელოვანი საქმეა

კასპელ მეცემენტეთა ინიციატივა

არითუ ისე დიდი ხნის წინათ, როცა სიტყვა ჩამოვარდებოდა კულინარია მუშაობაზე, კასპის ცემენტის ქარხნის წარმოებისა და საამქროების მთელი რიგი ხელმძღვანელებისაგან გიგონებდით: „ჩვენი საქმეა პროდუქციის გამოშვება, მათი კი — მუშების კვება. როგორ გაკეთებენ ამას, ჩვენ არ გვეხება". მაგრამ შემდეგ კასპში ცნობილი გახდა ტაგანროგის ქარხანა „წითელი მექვაბის" კოლექტივის თაოსნობა, რომელმაც გადაწყვიტა შეჯიბრებაში ჩაბმულიყო ქალაქის საქარხნო საწარმოებში საზოგადოებრივი კვების უკეთ დაყენებისათვის, და ტაგანროგში კასპელთა დელეგაცია გაეგზავნა.

მეცემენტეები იყვნენ „წითელ მექვაბეში", გაეცნენ საწარმოს მუშაობას, დაათვალიერეს სასადილო, ესაუბრნენ ხალხს. მათ მოეწონათ, თუ როგორ იყო საქმე დაყენებული. დელეგაციის დაბრუნების შემდეგ მოიწვიეს ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. წარმოების მოწინავეებმა თქვეს, რომ პარტიის დიადი გეგმები, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი მათ აღაფრთოვანებენ, რომ იმუშაონ უფრო ნაყოფიერად, ძალ-ღონის დაუზოგავად, დღითი დღე გაადიდონ ყველა სახეობის პროდუქციის გამოშვება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ქარხანაში შეიქმნას ისეთი მორალური ატმოსფერო, რომლის დროსაც გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, თვითეული მშრომელი კი ყველაფერს იღონებს წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად. ეს დიდადაა დამოკიდებული საზოგადოებრივი კვების მოწყობის დონეზეც.

ტაგანროგელთა მაგალითისამებრ მეცემენტეებმა დადეს მეგობრობის ხელშეკრულება და გადაწყვიტეს — ამიერიდან სასადილო მიიჩნიონ ქარხნის უმნიშვნელოვანეს საამქროდ, საზოგადოებრივი კვების ყველა მუშაკზე სრულად გაავრცელონ ქარხნის მუშებისათვის გათვალისწინებული მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებანი. გამოიანგარიშეს, რომ სასადილოს მუშათა ხელფასი საშუალოდ სულ ცოტა ოცი პროცენტით გაიზრდება.

ხელშეკრულებაში ზუსტადაა განსაზღვრული მხარეთა ურთიერთვალდებულებანი, ჩამოთვლილი არიან მისი თვითეული პუნქტის შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირნი. წარმოების მუშაკების თანაბრად სასადილოს თანამშრომლებს ქარხანა გამოუყოფს ბინას, დასასვენებელი სახლისა და სანატორიუმის საგზურებს, მათ შვილებს მოაწყობს საბავშვო ბაგა-ბაღებში, პიონერთა ბანაკებში. სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებისათვის სასადილოს საუკეთესო მუშაკებს, ისევე როგორც წარმოების მუშაკებს, მიეცემათ პრემიები. მომსახურების მაღალი კულტურისათვის მიიღებენ „მეცამეტე ხელფასს".

ქარხნის იდმინისტრაციამ და პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, იმას გარდა, რომ იზრუნეს სასადილოს ტექნოლოგიური მოწყობილობით აღჭურვისა და მისი რემონტისათვის, კონტროლი დაუწესეს კერძების ხარისხს, მუშათა მომსახურების გაუმჯობესებას. ამასთან ისინი საწარმოს საზოგადოებრივი კვების ხელმძღვანელებს ეხმარებიან, რათა სასადილოს მუშაკებს შეუქმნან შრომის საუკეთესო პირობები, მაგალითად, მათთვის გათვალისწინებულია ტრანსპორტის გამოყოფა, ჟურნალი, ინვენტარის ღირებულების ანაზღაურება, მოწყობილობის შეკეთება. ახლა მთავრდება სასადილოს რეკონსტრუქცია, რომელშიც ისადილებენ მეცემენტეები. მათ ხომ არ შეუძლიათ თავიანთი სამუშაო ადგილებიდან წასვლა. აქ საქმელი მოტოროლერზე დადგმული თერმოსებით მოაქვთ.

ტაგანროგელთა გამოცდილებისამებრ, საზოგადოებრივი კვების მუშაკებმა თავის მხრივ პირობა დადეს, რომ საქმით უპასუხებენ მეცემენტეთა ზრუნვასა და ყურადღებას, იმუშავებენ დევიზით „თვითეულ მუშას — გემრიელი სადილი", „ჩინებულად მოვამზადე — კულტურულად მოვემსახურე".

(საქინფორმი).

ბოსტნეულის სიუხვისათვის

ახლადშექმნილი საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ოთარ მამულაშვილს ტრესტში რომ გამოუცხადეს, სხვა კულტურებთან ერთად, გეგმის გადაჭარბებით 65 ჰექტარი ნიორი უნდა დათესოო, კინაღამ გული შეუღონდა. მეურნეობაში, რომელიც ორი ჩამორჩენილი კოლმეურნეობის ბაზაზე ჩამოყალიბდა, საქმე ისედაც ყელამდე იყო და ამ რთულ მომენტში ნიორის გეგმა მოწმენდილი ციდან მეხის ჩამოვარდნას ჰგავდა. ვინც ამ კულტურას იცნობს, მან კარგად იცის, რა რთული და შრომატევადია მისი მოყვანა. მით უმეტეს, რომ ეს მშვენივრად იცოდა მუხრანში დაბადებულმა და გაზრდილმა კაცმა, რომელმაც ბავშვობიდანვე იწვნია ნიორის მოყვანის სიმწარე.

ტრესტში არ დუმალავთ, რომ ნიორის წარმოების გადიდება რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარეობს, რომ მისი ნათესი ფართობის გადიდებასაც გულისხმობდნენ, როცა მეადიჯვრის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას აყალიბებდნენ, ისე რომ დირექტორი ვალდებულია გამოძებნოს ყველა რეზერვი და საშუალება ამ ფრიად პასუხსაგები დავალების შესასრულებლად.

სანამ მეურნეობაში დაბრუნდებოდა, ავტომანქანაში მჯდომი მამულაშვილი ანგარიშობდა რამდენი მუშახელი იყო საჭირო 65 ჰექტარი ნიორის დასარგავად. მარტო ერთ ჰექტარზე ამ საქმისათვის საჭიროა 33 კაცდღე. ეს რომ 65-ზე გავამრავლოთ, გამოვა 2.145 კაცდღე. შეძლებს ამდენი მუშახელის გამოძებნას? რა თქმა უნდა, ვერა! მით უმეტეს, ნიორის თესვის ვადა 4-5 დღეა. არც საჭირო თესლი ჰქონდა მეურნეობას, მაგრამ ამას კიდევ მოეკლებოდა, თვითონ ტრესტის მმართველი დაპირდა დახმარებას, მაგრამ საღ გამოეძებნა მუშახელი, როცა მეურნეობა არსებობის მხოლოდ ცხრა თვეს ითვლიდა და შრომის ორგანიზაციაც ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი იყო. ყოველ დილით მჯდომეობენ ავტობუსები, რომელსაც აქაურები გარე სამუშაოზე მიჰყავდა მცხეთაში, დედაქალაქში. ერთი სიტყვით, თქმა და დღეებში დირექტორის გონებაში წამითაც არ ჩამქრალა ამ საქმეზე ფიქრი. შოფერს უკვირდა უფროსი ერთთავად რომ დადუმებული იყო და რაღაცაზე ფიქრობდა, ერთხელ დაჯაბირა შეკითხოდა, მაგრამ მოეხსენა.

აღარც ფიქრის დრო იყო. თესვის დრო ახლოვდებოდა, საჭირო იყო მალე პრაქტიკულად შესდგომოდნენ საქმეს, ტრესტშიაც ბევრჯერ დაინტერესდნენ, როგორ სრულდებოდა დავალება.

ახლა ოთარ მამულაშვილს აღარ ახსოვს საღ, როდის, თავის სამუშაო კაბინეტში თუ გზაში, დღისით თუ ღამით ჩაისახა მის გონებაში ბედნიერი აზრი. გაკვეთებინათ ისეთი მანქანა, რომელი საშეალებითაც შეიძლებოდა ნიორის სწრაფად და ხარისხიანად დათესვა, რა თქმა უნდა, საბჭოთა მეურნეობას არც გამომგონებელი ჰყავს და არც საკონსტრუქტორო ბიურო აქვს, მაგრამ არიან მექანიზატორები, არის სახელოსნო. იმ დღის შემდეგ ოთარმა სწორედ იმ სახელოსნოში დაიდო ბინა. მასთან ერთად იყვნენ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ვალოდია ჩანადირი, მეკენელი ლუარსაბ სოლაშვილი, მეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი ვიკენელი ფიქრიშვილი, ისინი დიდხანს გულდასმით ათვალიერებდნენ ჩითილის სარგავ და სმინდლის სათეს აგრეგატს, ანგარიშობდნენ, ხაზავდნენ, ზომავდნენ.

მეადიჯვრელი „კონსტრუქტორების" საიდუმლოება იცოდნენ პარტიის რაიკომის მუშაკებმა. ისინი ამხნევებდნენ, ძალას მატებდნენ გამომგონებლებს წამოწყებული საქმის კეთილად დაგვირგვინებაში. ხანდახან იყო უიმედობის წუთები, ფიქრობდნენ, რომ მათი განზრახვიდან არაფერი არ გამოვიდოდა, სწორედ ამ ეჭვიანობის ჟამს იყო საჭირო მათთვის საკუთარი ძალებისადმი რწმენის გაღვივება და ასეც იყო. პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ი. გამრეკელი ხშირად მეადიჯვარში, სახელოსნოში გახლდათ და ეს ცოტას როდი ნიშნავდა.

ბერე ყველაფერს ერთად თავი მოუყარეს და ამ ჭრეგუტების სხვადასხვა დეტალების გადაადგილებით და ახალი ნაწილების დამატებით, აიწყეს მანქანა, რომელსაც საქარხნო მარკა ჯერ არა აქვს, რადგან იგი საბჭოთა მეურნეობის სახელოსნოშია დამზადებული. მას ნიორის სათესი მანქანა ჰქვია.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს მეადიჯვრელი რაციონალიზატორების ხელით აწყობილი ორი აგრეგატი პირველად გაიტანეს მინდვრად. სათესები „ბელარუსის" მარკის ტრაქტორებს მოუბეს. როგორც ცნობილია, ჩითილის სარგავზე ჩვეულებრივად ექვსი ადამიანი ჯდება. მეადიჯვრელთა აგრეგატზე კი რეა ქალი იჯდა, ისინიც, რა თქმა უნდა, ისე ღელავდნენ, როგორც დირექტორი, ინჟინერ-მექანიზატორი, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, მეკენელი. ბოლოს დადგა დრო და ტრაქტორიც დაიძრა, ერთბაშად თექვსმეტი მთესველიც ამოძრავდა, ისინი სპეციალური მილების საშუალებით ყრიდნენ ნიადაგში ნიორის კვნიტებს, რომელიც კვალაბახსნელის მიერ გათხრილ ნიადაგში რჩებოდა და მერე მომტკეპნი მარხავდა.

პირველ დღეს შეფერხება არ ყოფილა, დათესა პირველი ათეული ჰექტარი. სულ 65 ჰექტარის დასათესად, ნაცვლად 2145 კაცდღისა, მხოლოდ 280 კაცდღე დაიხარჯა. ამით მარტო შარშან მეურნეობამ 8960 მანეთი დაზოგა, თესვა სწრაფად, მაღალხარისხოვნად ჩატარდა.

ეს დიდი გამარჯვება იყო, ადამიანთა შემოქმედებითი შრომის ნაყოფი გახლდათ, რაც მალე შეეტყვა მეზობელი მცხეთის რაიონის ნატახტრის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც თხუთმეტი ჰექტარი ნიორი უნდა დათესათ. ნატახტრელთა მცირე დელეგაცია ეწვია მეადიჯვარს, რომელსაც მთავარი აგრონომი გივი მოხევიშვილი ხელძღვანელობდა. მასპინძლები დაეხმარნენ სტუმრებს ახალი დანადგარის ნახაზების გადაღებაში. მალე გივი მოხევიშვილმა წერილი მოიწერა, ძალიან კმაყოფილები ვართ თქვენი მანქანითო.

მაგრამ მაინც გულდასაწყვეტია, რომ მანქანა, რომელსაც დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია, ჯერ კიდევ არ გავრცელებულა რესპუბლიკაში. ნიორს კი მარტო მეადიჯვარსა და ნატახტარში როდი თესავენ. იქნებ რომელიმე ქარხანამ ან სახელოსნომ იკისროს მისი შემდგომი დახვეწა და სერიული წარმოება?

საქმე მარტო კარგი თესვით როდი მთავრდება, საჭიროა ნათესის მოვლა-პატრონობა, მოსავლის თავის დროზე აღება, რომელიც ისეთივე მოკლევადიანია, როგორც თესვა. შემოსული ნიორს თუ დროზე და სწრაფად არ ავიღებთ, მალევე დაკარგავს კვებითს ღირებულებას. მოსავლის აღებაში მარტო აღამიანის ხელი უძლურია, ამიტომ მამულაშვილი და მისი „საკონსტრუქტორი ბიურო" ახლა ამის მეცადინეობაში არიან, რომ შექმნან ნიორის ასაღები აგრეგატი. ახლახან ოთარმა „საიდუმლოდ" გამანდო, ეს მანქანაც მზად იქნება მოსავლის აღების დაწყებამდეო.

ახლა მეადიჯვრის მეურნეობის მინდვრებში ზაფხულია. ნიორის კბილა კი, რომელიც ასეთი მზრუნველობით გასულ შემოდგომაზე დათესეს, თანდათანობით, ადამიანის თვალის შეუმჩნევლად იზრდება. აღმონაცენი ქლოროფოსით შეწამლეს, ჩაატარეს კულტივაცია და მწკრივთაშორის თოხნა— 325 ტონა ნიორი უნდა მივიღოთ — ამბობენ დირექტორი და პარტიული კომიტეტის მდივანი ივანე რაზმაძე. ნიორის ნათესები ჩინებული მოვლილია და მალე უხვ მოსავალს მიიღებენ.

მეადიჯვრელთა მინდვრებს არასოდეს იმდენი ბოსტნეულ-ბაღჩეული არ მოუცია, რამდენიც შარშან. რაიონული ცენტრის მშრომელთა დიდი მადლობა დაიმსახურეს აქაურებმა მათ მიერ უხვად მიწოდებული პამიდერით, ხახვით, კიტრით და სხვა პროდუქტებით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 305 ტონისა, სახელმწიფოს 692 ტონა ბოსტნეულ-ბაღჩეული მიეყიდა.

როგორც მოგახსენეთ, ერთი წლის წინათ, ყოველ გათვნებისას ნარეკვავის ხეობაში გუგუნით მოდიოდნენ ავტობუსები, რომელსაც გარე სამუშაოზე მიჰყავდათ აქაურები. ახლა ამ სურათს ვეღარ ნახავთ. ყოფილ კოლმეურნეობებში მხოლოდ ოთხი ასეული მუშახელი ჰყავდათ. ახლა მათი რიცხვი 1680-ს აღწევს. ეს ბევრ რამეს მოწმობს, უპირველესად კი ადამიანთა მატერიალურ და მორალურ დაინტერესებას, იმ დიდ და მიზანსწრაფულ აღმზრდელობითს მუშაობას, რასაც მეურნეობის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ეწევიან.

...უკან რომ ვბრუნდებოდით, ხევში მთის მდინარე ნარეკვავი გადავლახეთ. თქვენ რაც გინდათ თქვით და, მამულაშვილი და მისი ხალხი მე სწორედ ნარეკვავს შევადარე, რომელიც ხან ვიწროა, ხან განიერი, ხან ანკარაა, ხან ცივი და თავის ბუნებაში ყველა ადამიანურ თვისებას ამჟღავნებს, რაც მთავარია წელიწადის ყოველ დროს ხალხისათვის მხოლოდ სიკეთე მოაქვს.

ა. თომაძე,

„კომუნისტის" ხაკ. კორესპონდენტი.



მჯადიჯვრელი მებოსტნეები

როცა დირექტორი მექანიზატორებთან ერთობლივად ფიქრობს

ᲣᲛᲬᲘᲙᲕᲚᲝᲓ, ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲐᲜᲐᲓ

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲘᲜ დღის მანძილზე თბილისში მიმდინარეობდა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალგაზრდა მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება.

საქართველოს ყველა კუთხიდან რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდნენ მომსახურების სფეროს ახალგაზრდა მშრომელები— ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოო და ადმინისტრაციული ხარისხის, მუშათა მომსახურების გაუმჯობესებას. ამასთან ისინი საწარმოს საზოგადოებრივი კვების ხელმძღვანელებს ეხმარებიან, რათა სასადილოს მუშაკებს შეუქმნან შრომის საუკეთესო პირობები, მაგალითად, მათთვის გათვალისწინებულია ტრანსპორტის გამოყოფა, ჟურნალი, ინვენტარის ღირებულების ანაზღაურება, მოწყობილობის შეკეთება. ახლა მთავრდება სასადილოს რეკონსტრუქცია, რომელშიც ისადილებენ მეცემენტეები. მათ ხომ არ შეუძლიათ თავიანთი სამუშაო ადგილებიდან წასვლა. აქ საქმელი მოტოროლერზე დადგმული თერმოსებით მოაქვთ.

ტაგანროგელთა გამოცდილებისამებრ, საზოგადოებრივი კვების მუშაკებმა თავის მხრივ პირობა დადეს, რომ საქმით უპასუხებენ მეცემენტეთა ზრუნვასა და ყურადღებას, იმუშავებენ დევიზით „თვითეულ მუშას — გემრიელი სადილი", „ჩინებულად მოვამზადე — კულტურულად მოვემსახურე".

(საქინფორმი).

ᲣᲛᲬᲘᲙᲕᲚᲝᲓ, ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲐᲜᲐᲓ

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲧᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ. ᲖᲔᲛᲝ ᲮᲣᲠᲐᲗᲨᲘ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ. (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲫᲒᲐᲜ) — ᲒᲐᲛᲘᲯᲔᲓᲘᲚᲘ Ო. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ (ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ), ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲫᲒᲐᲜ) — ᲒᲐᲛᲘᲯᲔᲓᲘᲚᲘ Ბ. ᲒᲘᲠᲣᲨᲘᲛᲘᲐ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲕᲔᲓᲠᲐᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ), ᲒᲐᲛᲘᲛᲯᲠᲘᲚᲘ Გ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ Შ. ᲭᲣᲨᲐᲞᲘᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ Ჯ. ᲛᲔᲠᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ Ნ. ᲜᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ.

ᲞᲚᲔᲜᲐᲠᲣᲚ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲑᲔᲠᲯᲔᲠᲘ ᲒᲐᲘᲜᲘᲡᲐ ᲚᲘᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲯᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔᲪ ᲓᲐᲛᲝᲛᲯᲓᲐᲠᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲝᲜᲘ. ᲛᲘᲒᲘᲦᲔᲗ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲛᲔ ᲓᲐᲛᲔᲛᲚᲘᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲝᲜᲘ. ᲛᲘᲒᲘᲦᲔᲗ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ.

ᲛᲔᲠᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲣᲧᲠᲔᲗ ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲮᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲚᲐᲡ ᲣᲬᲔᲡᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐᲨᲘ პოპულარულია თელავის ქორეოგრაფიული სტუდია, რომელსაც ომარ ფეიქრიშვილი ხელმძღვანელობს.

სტუდიასთან შექმნილია ანსამბლები: ქართული ცეკვების „ხაზეიმო“, სამეჯლისო ცეკვებისა და საბავშვო ქორეოგრაფიისა.

სტუდიის მოცეკვავენი თელავის რაიონის მშრომელთა სასურველი სტუმრები არიან. შარშან მოსწავლეებმა ათობით კონცერტი გამართეს. მხურვალედ უკრავდნენ ტაშს მევიოლინეები ქართული ხალხური ცეკვის რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატების ლია ქევხიშვილის, ჯუმბერ დარჩიაშვილის, ნიკო ხუციშვილის, ნოდარ ჩუტორიშვილის, ლუდა სვანიძის, გია მრეულაშვილის ხელოვნებას, სამეჯლისო ცეკვათა ანსამბლის სოლისტებს.

თელაველი მოცეკვავეები გულმოდგინედ ემზადებიან მორიგი რესპუბლიკური ქორეოგრაფიული კონკურსისთვის — მიმდინარეობს რეპეტიციები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი პედაგოგები ნუგზარ გაბუნია, ნასყიდა ოქროაშვილი, ზაქარია მურველიშვილი, ფანცქალა დავითმღვდლიშვილი და სხვ.

სურათზე ცეკვავს ანსამბლი „ხაზეიმო“.

ე. ეგინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს ქთა-ბარში

გამოფენა მოგვითხრობს

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ მუზეუმი სახლში მოეწყო დიდი სამამულო ომის ვეტერანების, მხატვარ-რიმა ბოჭორიშვილის ნაწარმოებების პერსონალური გამოფენა, რომელიც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 31-ე წლისთავს მიეძღვნა.

გამოფენაზე ეξპონირებული სურათების თემატიკური და ჟანრული მრავალფეროვნება მნახველს საშუალებას აძლევს გარკვეული წარმოდგენა იქონიოს რიმა ბოჭორიშვილის შემოქმედებაზე. სამამულო ომის ქარცეცხლიანი დღეებისა და პარტიზანული ბრძოლების ეპიზოდების ამსახველი სურათების გვერდით, დიდი ადგილი უკავია თანამედროვეობის მრავალმხრივი და საინტერესო ცხოვრებისადმი მიძღვნილ ტილოებს. მხატვარი ცდილობს ყოველ სათქმელს, აზრს შესაფერისი ფორმა, ფერი და გამოსახვის სხვადასხვა საშუალება გამოუძებნოს.

ნ. ᲗᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ.

შეხვედრა ბამელებთან

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ. (საკ. კორ.). ბაიკალ-ამურის магистралის მშენებლობაში მონაწილეობას იღებენ ახმეტის რაიონიდან წასული ახალგაზრდებიც. მათ შორის არიან ქვემოალვანელები გ. მიშიძე და გ. ნაცვლაიძე. ამ დღეებში ისინი შეებულებით ჩამოვიდნენ სამშობლოში. ქვემო ალვნის მეცხვარეობის Საბჭოთა მეურნეობის ერთერთი უბნის — ფიჩხოვანის მშრომელებმა და ახალგაზრდობამ ბამელის გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

ახალგაზრდებმა შეხვედრის მონაწილეებს მოუთხრეს, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენი დროის უდიდესი რკინიგზისა და მისი დასახლებების მშენებლობა.

Ა. ᲗᲐᲚᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

გამოჩენილი მკვლევარი

პროფესორი შ. მესხიას დაბადების 80-ე წლისთავის გამო

„ᲡᲐᲞᲘᲠᲝ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია. უნდა იცოდეს უტყუარი, ᲭᲔᲛᲘᲐᲠᲘ ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“. — ივანე ჯავახიშვილის ეს სიტყვები შოთა მესხიამ წინ წაუძღვარა საქართველოს ისტორიის საპატიო სახელმძღვანელოს და მართლაც დიდი მეცნიერის ეს აზრი, ᲭᲔᲛᲘᲐᲠᲘᲐᲓ, მთელი მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის საფუძველი იყო.

შოთა მესხია დაიბადა 1916 წლის 27 აპრილს ᲕᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡᲘᲡ რაიონის სოფ. ᲝᲠᲣᲯᲨᲘ. დაწყებითი განათლება ზუგდიდში მიიღო. აქვე დაამთავრა სატყეო სასწავლებელი და 1933 წლიდან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ისტორიკოსი შობლიურ რაიონში წავიდა სკოლაში სამუშაოდ. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მიწვევით იგი დაბრუნდა უნივერსიტეტში და ასპირანტურის კურსი გაიარა ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობითვე; მონაწილეობა მიიღო დიდ სამამულო ომში. ფრონტიდან დაბრუნებულმა მუშაობა დაიწყო აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად, სადაც წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ ძველ საქართველოში“. 1943 წლიდან მან მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე. 1951-1953 წლებში შოთა მესხია მივლინებული იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში. აქვე მოამზადა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ აირჩიეს და, ერთდროულად, ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლადაც მუშაობდა. 1961 წლიდან შ. მესხია ისტორიის ფაკულტეტის დეკანიც იყო. 1967 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ირჩიეს, იმავე წელს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სპატიო წოდება მიენიჭა.

პროფესორი შ. მესხია ავტორი იყო საქართველოს ისტორიის XIII-XVIII საუკუნეების მომცველი ნაწილისა, რომელიც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული სსრკ ისტორიის II ტომში შევიდა. მანვე დაამუშავა ქართული წყაროების რუსული თარგმანები, რომლებიც აკად. მ. ტიხომიროვის მიერ მომზადებულ სსრკ ისტორიის ᲥᲠᲘᲡᲢᲝᲛᲐᲗᲘᲐᲜᲘ შევიდა. პროფ. შ. მესხიას უყურადღებოდ არ დარჩენია საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემა — რუსეთთან ურთიერთობის ისტორია. 1958 წ. პროფ. ი. ცინცაძესთან ერთად რუსულ ენაზე გამოაქვეყნა მონოგრაფია „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVIII სს)“. ბოლო წლებში პროფ. შ. მესხია საფუძლიანად იკვლევდა XI-XIII საუკუნეების საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ისტორიას.

უკანასკნელ ხანს პროფ. შ. მესხია განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეულის შექმნაში, რედაქტორობდა ამ ნარკვევების II ტომს და იყო მისი III ტომის მნიშვნელოვანი ნაწილების ავტორი.

პროფ. შ. მესხია დაუღალავად იღვწოდა სტუდენტებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სახელმძღვანელოების შესაქმნელად. იგი თანაავტორი იყო „საქართველოს ისტორიის“ სუნივერსიტეტო დამხმარე სახელმძღვანელოსი (1958 წ.), აგრეთვე ერთ-ერთი ავტორი — საშუალო სკოლების ამჟამად მოქმედი სახელმძღვანელოსი.

მრავალმხრივ მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად პროფ. შ. მესხია უაღრესად აქტიურ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა.

შოთა მესხიას უაღრესად ნაყოფიერი და ნათელი სიცოცხლე უდროოდ შეწყდა. იგი 1972 წლის 15 მაისს გარდაიცვალა, მისი ასეთი მრავალმხრივი მოღვაწეობა და მდიდარი მეცნიერული შემოქმედება იმის საფუძველია, რომ განსაკუთრებული მეცნიერის სახელი არ იქნება დავიწყებული და მომავალი თაობებიც შეინახავენ მის ხსოვნას.

ნ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი.

ᲔᲘᲠᲔᲜᲔ—ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ

საერთაშორისო კონგრესზე ერევანში

ᲔᲘᲠᲔᲜᲔ — ბერძნულად მშვიდობას ნიშნავს, ასევე უწოდებენ მშვიდობის ქალღმერთსაც. სიმბოლურია, რომ ამ სახელწოდებას ატარებს ანტიკური სამყაროს მკვლევართა სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო ასოციაცია, რომლის წევრები — ისტორიკოსები, არქეოლოგები, ფილოლოგები და ლინგვისტები ამას წინათ შეიკრიბნენ ერევანში თავიანთი XIV კონფერენციაზე.

კონფერენცია გახსნა აკადემიკოსმა ბ. პიოტროვსკიმ, შეკრებილთ მიესალმა სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რ. სეფტლოვი. სექციებზე, რომლებიც მიეძღვნა ცალკეულ პრობლემებს — მაგალითად, ანტიკური სამყაროს და აღმოსავლეთი, უახლოესი არქეოლოგიური აღმოჩენები, ახალი მეთოდები და აღმოჩენები კლასიკურ ლინგვისტიკაში და სხვ. — 237 მოხსენება მოისმინეს, ცალკეულ სექციებს თავმჯდომარეობდნენ, მათ მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ქართველი მეცნიერები თ. ᲧᲐᲣᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. ᲚᲝᲛᲝᲣᲠᲘ, ო. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, რ. გორდეზიანი, გ. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, თ. მიქელაძე, მათ გარდა საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს გ. ᲩᲘᲮᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, რ. რამიშვილმა, ი. გაგოშიძემ, ნ. რაზმაძემ, Ზ. ᲓᲣᲜᲓᲣᲐᲛ, ა. კახიძემ (ბათუმი), გ. შამბამ და ი. ᲗᲝᲠᲝᲠᲝᲜᲯᲘᲫᲔ (სოხუმი).

კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები ცალკე კრებულში დაიბეჭდება. შემდეგი, XV კონფერენცია გაიმართება ბულგარეთში 1978 წელს.

კონფერენციამ ხელი შეუწყო იუგოსლავიის, რუმინეთის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და საბჭოთა კავშირის მეცნიერებს შორის კონტაქტების შემდგომ განმტკიცებას.

ნ. ᲙᲘᲚᲘᲣᲠᲐᲫᲔ,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. დ. ლ. ᲭᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. რ. დ. ᲜᲘᲣᲠᲐᲫᲔ დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის საუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲕᲔᲚᲝᲓᲠᲝᲛᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲕᲔᲚᲝᲓᲠᲝᲛᲖᲔ გრძელდება საბჭოთა კავშირის პირველობა ველოსპორტში. ომსკელმა ე. რაამა პირველმა მოიპოვა მონრეალის ოლიმპიადის საგზური. მან მოიგო აღდგილდან ჰიტი 1000 მეტრზე და ოქროს მედალი დაისაკუთრა. მისი დროა 1 წუთი და 06,74 წამი. ვერცხლის მედალი მოიპოვა აშხაბადელმა ვ. კუდრიაშოვმა — 1 წუთი და 07,07 წამი, მესამე იყო მინსკელი ნ. შიმანოვიჩი — 1 წუთი და 07,45 წამი.

ოთხ კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში რვა მეოთხედფინალისტიც გამოვლინდა. ᲕᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ საუკეთესო დრო გვიჩვენა სიმფერაპოლელმა Ა. დიმიტელკინმა — 4 წუთი და 51,54 წამი. სსრ კავშირის ᲮᲐᲚᲮᲗᲐ სპარტაკიადის ჩემპიონი ტულელი ა. პეროვი მას 24 მეასედი წამით ჩამორჩა. ოქროს მედლებისათვის მებრძოლთა შორის არიან ვ. ᲝᲡᲘᲙᲘᲜᲘ, Გ. ᲡᲝᲙᲝᲚᲝᲕᲘ და სხვ.

ᲫᲘᲣ-ᲓᲝ

მაღალმთიან სვანეთში

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡᲨᲘ გაიმართა საქართველოს პირველობა ძიუ-დოში. ადგილობრივი კულტურის სასლი მაყურებლს ვერ იტევდა. ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ პირველი ადგილისათვის ერთმანეთს ეცილებოდა ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის 11 ქალაქს 160 მოჭიდავე. ჩემპიონობა თავიანთ წონითს კატეგორიებში მოიპოვეს: თბილისელებმა Ჯ. ᲜᲐᲜᲣᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, კ. შაბურიშვილმა, ე. დამდაევმა, რ. ᲭᲘᲙᲐᲘᲫᲔ და ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ბ. გუგავამ. აბსოლუტურ კატეგორიაში გაიმარჯვა თბილისელმა Გ. ᲓᲔᲓᲝᲕᲖᲔ.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს თბილისელმა სპორტსმენებმა, მეორეზე გამოვიდნენ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ — ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲫᲔ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ — ᲯᲣᲜᲐᲗᲘᲡᲔᲚᲘ.

Გ. Დ. ᲑᲣᲐᲫᲔ

54 ᲬᲚᲘᲡᲐ მოულოდნელად გარდაიცვალა შორეული ცურვის კაპიტანი, სკკპ წევრი გიორგი დავითის-ძე ᲑᲣᲐᲫᲔ.

გ. დ. ბუაძემ 1940 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ ᲭᲣᲢᲘრის საშუალო სკოლა დაამთავრა და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე განაგრძო. სამამულო ომმა შეცვალა მისი მიზანი — იგი მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში და საზღვაო ნაწილის მეომარი გახდა. მძიმე ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ არ შეუშინდა და მაინც არ მიატოვა ზღვა. 1947 წელს ბათუმის საზღვაო სასწავლებელი დაამთავრა, საიდანაც საფუძველი დაედო მისი როგორც ზღვაოსნის საინტერესო და რთულ გზას.

1948 წლიდან გარდაცვალებამდე გ. ბუაძე სახალინის საზღვაო ფლოტში მუშაობდა. მისი გემები მსოფლიოს ყველა კონტინენტს უკავშირდებოდა, ᲩᲕᲔᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ საჭირო ტვირთი გადაჰქონდა; გ. ბუაძე შორეული ტვირთზიდვის ნოვატორიც იყო. მისი რაციონალიზატორული წინადადებების განხორციელებამ საშშოლოს მილიონობით დანაზოგი მისცა, რისთვისაც მას „ᲠᲘᲑᲑᲚᲘᲡ დამსახურებული რაციონალიზატორის“ წოდება მიანიჭეს.

უანგარო სამსახურისათვის კაპიტანი გ. ბუაძე ორდენებითა და მედლებით იყო დაჯილდოებული და საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის საუკეთესო კაპიტნის წოდება ჰქონდა მინიჭებული.

გ. ბუაძეს მთელი ხანაოსნო პრინციპულ, საქმის მცოდნე მუშაკად, მრავალი საუკეთესო ზღვაოსნის აღმზრდელად და დამრიგებლად იცნობდა. მისი სახით საბჭოთა ზღვაოსნების დიდ ოჯახს ერთ-ერთი სახელმოხვეჭილი კაპიტანი გამოაკლდა, რომელსაც სამშობლოსათვის კიდევ მრავალი სიკეთის მოტანა შეეძლო.

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილის, გულსხმიერი მეგობრის, საუკეთესო ადამიანისა და უშიშარი კაპიტნის გ. ბუაძის სხოვნა მარად იფიცხლებს მისი მეგობრებისა და ნაცნობების, ᲧᲕᲔᲚᲐ მეზღვაურის გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲐᲕᲘᲜᲓᲝ

ᲒᲣᲨᲘᲜ დასავლეთ საქართველოში უნალეკმა აბინდი იდგა. 13 საათზე ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ მეტი სიიბო — 30 გრადუსი ზუგდიდსა და ცხაკაიაში აღინიშნა, დანარჩენ დასავლეთ რაიონებში 22-29, მთებში 17-22 გრადუსი სიიბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოშიც უმეტესად უნალეკმა აბინდი იდგა, დასავლეთ რაიონებში 23-25, მთებში 11-16 გრადუსი სიიბო აღინიშნა.

გუშინ 13 საათზე თბილისში ოფიციალური 26 გრადუსი სიიბოს უჩვენებდა.

ᲓᲦᲔᲡ დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, ზოგან წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 18-23, მთებში — 11-16 გრადუსი სიიბო.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი; მტკვრის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს. დაბლობს რაიონებში 19-24, მთებში 12-17 გრადუსი სიიბო იქნება.

თბილისში მოსალოდნელია უმნიშვნელო წვიმა და ელჭექი, ჩრდილოეთ დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 22-24 გრადუსი სიიბო.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝᲡ“ ᲤᲘᲠᲐᲣᲚᲘ

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝᲡᲐ“ და სპორტლოტო-2“-ის 9 ივნისს გამართული 23-ე ტირაჟის შედეგები:

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“: 40 (ტორიზმი), 2 (ავტოსპორტი), 26 (მოტობოლი), 41 (ჩოგბურთი), 14 (ფრენბურთი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში).

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ-2“: 5 (ბადმინტონი), 37 (სროლა), 36 (სლალომი), 8 (კრივი), 33 (რეგბი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა).

(საკადესი).

რედაქტორი

Დ. ᲛᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲡᲢᲣᲜᲘ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „ოქროს ანტილოპა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ტელესტუდია „ორლიონოკის“ საკონცერტო დარბაზი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მუდმივი ძახილი“ (მეხუთე სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — სსრ კავშირის ისტორია, 17.45 — კინონარკვევი, 17.55 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 18.10 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეკარე“, 18.55 — „ᲛᲜᲘᲜᲘᲡ მომღერალი“ საიათნოვა, 19.30 — სატელევიზიო ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲔᲢᲚᲝᲜᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ“. ფერადი გამოსასუნლებით, 20.15 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა“, 20.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 21.00 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲘ“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ქართული ხალხური თვითმოქმედება. მახარაძის რაიონის ბახვის ჩაის ფაბრიკის მხატვრული თვითმოქმედება. ფერადი გამოსახულებით, 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „როგორი ღიმილი გაქვთ“.

მეორე პროგრამით

18.05 — სატელევიზიო სპექტაკლი „შავი მაკლერი“, 19.35 — განცხადებები, 19.40 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მილიციის სერჟანტი“ (მესამე სერია), 20.45 — განცხადებები, 20.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი და სოფელი“, 21.50 — მხატვრული ფილმი „მშვიდობით, მეგობრებო!“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲮᲐᲠᲐᲠᲘᲐ ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ᲔᲠᲗᲐᲯᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ** (მე-18 აბონ. მე-7 წარმ.); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲝᲠᲓᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ**; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲣᲠᲯᲘ**; ვახტანგ აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ᲑᲘᲭᲘᲜᲐ**, საქართველოს მწერალთა სახელმწიფო — **ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ.**

ᲐᲠ ᲕᲬᲐᲮᲝᲗ, ᲐᲠ ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲝᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1976-77 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲗ (ᲓᲦᲘᲡ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚᲘ) ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ (ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ), ᲞᲔᲓᲘᲐᲢᲠᲘᲣᲚ, ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ-ᲰᲘ�გᲘᲔᲜᲣᲠ, ᲡᲢᲝᲛᲐᲢᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲔᲕᲢᲣᲚ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲖᲔ (ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ)

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 35 წლამდე ასაკისა, რომლებსაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება და წარმოადგენენ დაღებით დახასიათებას ინსტიტუტში შესასვლელად.

საშუალო სპეციალური სასწავლებლის „კურსდამთავრებულთათვის საკადებულოა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პროფილური მუშაობის 3 წლის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვება იმათ, ვინც მოხვდა საშუალო სპეციალური სასწავლებლის გამოშვების ხუთ პროცენტში, ან იმათ, ვინც საშუალო სპეციალური განათლება მიიღო წარჩინებისაგან მოუწყვეტლივ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1) განცხადება რექტორის სახელზე სათანადო ფორმით, 2) საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის „კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დიპლომის დანართს ᲠᲐᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ საგნების შესახებ, 3) დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც იძლევიან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციების, ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების „კურსდამთავრებულთათვის — სკოლის ხელმძღვანელი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, 4) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელის მოწერით, 5) ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3-4 სმ), 6) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ. კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნეობის შრომის წიგნაკიდან, რომელშიც აღინიშნება დაწესებული გამომუშავების მინიმუმი ყოველი კალენდარული წლისათვის, დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ.

საშუალო სკოლის დამთავრების მომდევნო წლებში შემომსვლელს, როგორც წესი, უნდა ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲗ პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა ექვსი თვის სტაჟი ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდნენ; 6. ოთხი ფოტოსურათი (უქუდოდ ზომით 3X4); ინსტიტუტში გამოცხადებისას შემსვლელებმა პირადად უნდა წარმოადგინონ პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა.

სასწავლებლის ნებისმიერ დარგზე შემსვლელთათვის საბუთები მიიღება 1976 წლის 20 ივნისიდან 31 ივლისამდე (ჩათვლით) ყოველდღიურად (გარდა კვირადღისა) 9 საათიდან 16 საათამდე. ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ახალგაზრდობის პროსპექტი № 62.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1976 წლის 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა — 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე; ჩარიცხულნი ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გატარდნენ 1976 წლის 30 აგვისტომდე. რეგისტრაცია იწარმოებს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებში.

მისაღები გამოცდები ჩატარდება იმ პროგრამებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამის შესაბამისად.

არჩეული სპეციალობისადმი მიდრეკილების გამოვლინების მიზნით ყველა შემსვლელთან ჩატარდება გასაუბრება.

კონკურსი გაიმართება მონთისეული სპეციალობების მიხედვით:

ავტომექანიკური და მექანიკა-ტექნოლოგიურ (გარდა ხის დამუშავების ტექნოლოგიის სპეციალობისა) ფაკულტეტებზე ერთად.

ტექნოლოგიურ და მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტებზე და ხის დამუშავების ტექნოლოგიის სპეციალობაზე ერთად.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

ინსტიტუტის მასწავლებლები ივლისში „ყოველდღიურად ინსტიტუტში ჩატარებენ ლექციებ-სემინარებს და კონსულტაციებს საგამოცდო საგნებში. კონსულტაციებზე ყურადღება გამახვილებული იქნება წინა წლებში აბიტურიენტების მიერ დაშვებულ შეცდომებზე და მისაღები გამოცდების თავისებურებებზე.

წინა წლებთან შედარებით წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები კონტინგენტი.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება სათანადო ფაკულტეტებზე და ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში. მისამართი: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ახალგაზრდობის პროსპექტი № 62.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1976-77 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ

ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲗ

I ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ:

1. პურის ცხობის, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 2. საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია და ორგანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები);

II. მსუბუქი მრეწველობის ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ:

1.